

# ეკონომიკის საფუძვლები

---

ლექცია 8

გარე ეფექტები და ქოუზის თეორემა

## ინდივიდუალური დანახარჯი და სოციალური დანახარჯი

- როდესაც ინდივიდის ქცევა არანაირ ზეგავლენას არ ახდენს სხვა ადამიანების ამონაგებსა, თუ დანახარჯზე, ასეთ შემთხვევაში:

ინდივიდუალური სარგებელი=სოციალური სარგებელი  
ინდივიდუალური დანახარჯი=სოციალური დანახარჯი

- მაგრამ თუ ინდივიდის ქცევა ზეგავლენას ახდენს სხვა ადამიანების ამონაგებსა, თუ დანახარჯებზე, მაშინ

ინდივიდუალური სარგებელი $\neq$ სოციალური სარგებელი  
ინდივიდუალური დანახარჯი $\neq$ სოციალური დანახარჯი

- ეფექტიანობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ:

სოციალური სარგებელი $>$ სოციალური დანახარჯი

## შეკითხვები

- როდის მივყავართ რაციონალური ადამიანის ქცევას არა–ეფექტიან შედეგამდე, ანუ როდის იწვევს რაციონალური ადამიანის ქცევა ჯგუფისთვის არარაციონალურ შედეგს, – ვერ ვღებულობთ ჯგუფისთვის შესაძლო “საუკეთესო” შედეგს?! (“საუკეთესო” შედეგის საზომად ვიყენებთ მარშალის ეფექტიანობის კრიტერიუმს)
- როგორ შეიძლება მსგავსი პრობლემების მინიმიზაცია?!

## მაგალითი

- წარმოიდგინეთ, რომ ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი ბიზნესი ფუნქციონირებს
- ფოლადის ქარხანა და ტურისტული კომპლექსი
- ფოლადის ქარხნის გამონაბოლქვი 200 000\$ ზიანს აყენებს ტურისტულ კომპლექსს. ზიანის ნიველირება შესაძლებელია ფილტრის დაყენებით, რომელიც 100 000\$ ღირს
- ტურისტული კომპლექსის მეპატრონეს შეუძლია ბიზნესის მიმართულების შეცვლა, ტყის გაშენება და საშენი მასალის წარმოება, რომელზეც ზეგავლენას ვერ მოახდენს გამონაბოლქვი. ბიზნესის მიმართულების შეცვლის ხარჯია 50 000\$



## როგორ შეიძლება გადაწყდეს პრობლემა?!

რამდენიმე პოტენციური გზა არსებობს პრობლემის მოგვარების:

- რეგულაციები
- “პიგუს გადასახადი”
- ქოუზის მექანიზმი

განვიხილოთ თითოეული მათგანი

## რეგულაციები

- რომელიმე სამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია რეგულაციების შემოღება, რომლებიც მოითხოვს ფილტრის გამოყენებას, ან შედარებით მაღალი საკვამურების აგებას, ან ნებისმიერი სხვა მეთოდს
- თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მეთოდს შეუძლია პრობლემის მოგვარება, მას აქვს სერიოზული პრობლემები:
- მარეგულირებელი ორგანო შეიძლება არ იყოს დაინტერესებული ეფექტიან შედეგში, – ლობისტური ჯგუფები, პოლიტიკური ინტერესები და ა.შ.
- ინფორმაციულობის პრობლემა, – როგორ დაადგინოს რა არის ფოლადის ეფექტიანი რაოდენობა?!
- გაუთვალისწინებელი შედეგები, რაც, თითქმის ყოველთვის, თან ახლავს რეგულაციებს
- “ექვსი ბავშვის სიკვდილი, ერთი გადარჩენილი ბავშვის სანაცვლოდ”

## “პიგუს გადასახადი”

- იმის გამო, რომ ფოლადის მწარმოებელი არ ითვალისწინებს სოციალურ დანახარჯებს, პროდუქციის წარმოება მას უჯდება შედარებით იაფი, შესაბამისად წარმოება უფრო მაღალია, ვიდრე ის იქნებოდა სოციალური ხარჯების გათვალისწინების შემთხვევაში (მოთხოვნის კანონი)
- შესაბამისად, ოპტიმალური გადასახადის შემოღებით, გარე ხარჯების ინტერნალიზაციით, შედეგად, ფასების ზრდით, წარმოების მოცულობის შემცირებით შესაძლებელია ეფექტიანობის მიღწევა

აღნიშნული მიდგომის პრობლემები:

- ლობისტური ჯგუფები და პოლიტიკური ინტერესები
  - როგორ დავადგინოთ ოპტიმალური გადასახადი?!
- ინფორმაციულობის პრობლემა – გარე დანახარჯების დადგენა და ა.შ.

## როგორ უნდა განაწილდეს საკუთრების უფლებები? ქოუზის პასუხი: მნიშვნელობა არ აქვს

---

- ◆ ქოუზის თეორემა: თუ ტრანსაქციული ხარჯები არ არსებობს, საკუთრების უფლებები მკაფიოდ ჩამოყალიბებულია და საკუტრების უფლებებით ვაჭრობა შესაძლებელია, მაშინ ნებეყოფლობითი ვაჭრობა ეფექტიან შედეგს იძლევა
  - ◆ არ აქვს მნიშვნელობა საკუთრების უფლებას თავდაპირველად ვის მივანიჭებთ...
  - ◆ ...რადგან თუ ისინი არაეფექტიანად არის განაწილებული, ვაჭრობის შედეგად ეფექტიანობა მიღწევადია







# პირობები რომლებიც უნდა სრულდებოდეს

---

- ◆ საკუთრების უფლებები მკაფიოდ ჩამოყალიბებული უნდა იყოს...
  - ◆ ნათელი უნდა იყოს ვის რა უფლება აქვს
- ◆ ...საკუთრების უფლებებით ვაჭრობა შესაძლებელი უნდა იყოს...
  - ◆ უნდა შეგვეძლოს საკუთრების უფლების გაყიდვა/გასხვისება, თუ სურვილი გვაქვს
- ◆ ...ტრანსაქციული ხარჯები ძალიან დაბალი უნდა იყოს
  - ◆ საკუთრების უფლების გაყიდვა დიდ ხარჯებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული

# მაგალითი: რანჩერი და ფერმერი

---







# რანჩერის უფლება თუ ფერმერის უფლება?

---

- ◆ ბრიტანული გამოცდილება: **“closed range”** or **“fencing-in”** ( “ფერმერის უფლება” )
  - ◆ რანჩერს აქვს პასუხისმგებლობა აკონტროლოს თავისი საქონელი
  - ◆ რანჩერი იხდის კომპენსაციას მიყენებული ზარალისთვის
- ◆ ამერიკული გამოცდილება: **“open range”** or **“fencing-out”** ( “რანჩერის უფლება” )
  - ◆ რანჩერს შეუძლია თავისუფლად გაუშვას საქონელი
  - ◆ არ არის პასუხისმგებელი ფერმერისთვის მიყენებულ ზარალზე
- ◆ რომელი წესია უფრო ეფექტიანი?

# “რანჩერის უფლება” თუ “ფერმერის უფლება”?!

---



# ქოუზი: ორივე წესი ეფექტიანია

---

- ◆ თუ ფერმერისთვის უფრო იაფია ტერიტორიის დაცვა, ვიდრე რანჩერისთვის საქონლის კონტროლი...
  - ◆ “რანჩერის უფლების” დროს, ფერმერი შემოღობავს თავის ტერიტორიას
  - ◆ “ფერმერის უფლების” დროს, რანჩერი ფერმერს გადაუხდის თანხას ღობის დაყენებისთვის
  - ◆ და პირიქით....
- ◆ ქოუსი:
  - ◆ ...რაც არ უნდა იყოს მოქმედი კანონი, რანჩერი და ფერმერი მოილაპარაკებენ...
  - ◆ ...თუ საკუთრებითი უფლებები ნათლად გამოყალიბებულია, მათით ვაჭრობა შეიძლება და ტრანსაქციული ხარჯები ძალიან დაბალია

# რაოდენობრივი მაგალითი

---

- ◆ სამი შესაძლებლობა:
  - ◆ რანჩერი აყენებს ღობეს საძოვარზე... ხარჯი \$400
  - ◆ ფერმერი აყენებს ღობეს... ხარჯი \$200
  - ◆ არცერთი მხარე არ აყენებს ღობეს...
- ◆ თუ ფერმერის **მოსალოდნელი ხარჯი = \$100**
  - ◆ რანჩერის უფლება: ფერმერს ურჩევნია ღობე არ დააყენოს
  - ◆ ფერმერის უფლება: რანჩერს ურჩევნია კომპენსაცია გადაიხადოს, ვიდრე ღობე დააყენოს
- ◆ თუ ფერმერის **მოსალოდნელი ხარჯი = \$500**
  - ◆ რანჩერის უფლება: ფერმერი აყენებს ღობეს – ეფექტიანია
  - ◆ ფერმერის უფლება: რანჩერს ურჩევნია ფერმერს გადაუხადოს სულ მცირე 200\$ ღობის დასაყენებლად – ეფექტიანია
  - ◆ ორივე წესის მუშაობისას, ეფექტიანობა მიღწევადია